შიდა ქართლის გუბერნატორმა კასპის მუნიციპალიტეტის მერიაში სამუშაო შეხვედრა გამართა

03 სექტემბერი 2018

გიორგი ხოჯევანიშვილი კასპის მუნიციპალიტეტის მერიაში მერს და მუნიციპალიტეტის სამსახურების ხელმძღვანელებს შეხვდა. სამუშაო შეხვედრაზე შეკრებილებმა დეტალურად განიხილეს კასპის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საჭიროებები, მათ შორის, ქვემო ჭალაში, მოსახლეობასთან შეხვედრაზე დასმული საკითხები. ასევე, იმსჯელეს მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვან და პრიორიტეტულ პროექტებზე, რომელთა განხორციელებაც ხელს შეუწყობს კასპის მუნიციპალიტეტის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას. გუბერნატორის თქმით, მსგავსი სახის შეხვედრა ერთჯერადი არ არის და სამომავლოდაც მოეწყობა.